საქართველო
GEORGIA

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტი
მერიის ადმინისტრაცია

RUSTAVI CITY MUNICIPALITY
CITY HALL ADMINISTRATION

№ 02/9231 19.06 2017 წ.

GRASS REFORMANDA
აიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 225
თარიღი: 22 06 2017 წ.

„FactCheck"-ის ანალიტიკოსს
ქალბატონ **მანონი ბოკუჩავას**

მის: ქ.თბილისი, მიცკევიჩის ქ. N27

ქალბატონო მანონი,

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიაში 2017 წლის 07 ივნისს შემოსული თქვენი N12679/02 წერილის პასუხად, რომლის თანახმადაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციას მიწოდებას გაცნობებთ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მუდმივად ცდილობს ხელი შეუწყოს ქალაქ რუსთავში ახალი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებასა და განვითარებას, აღნიშნულის უზრუნველსაყოფად ახორციელებს შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა/რეაბილიტაციას (2014-2017 წლებში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაიხარჯა: გზები და შიდა ეზოების რეაბილიტაცია - 27 400 000 ლარი; სახურავების გადახურვა - 4 100 000 ლარი; გარე განათება - 497 000 ლარი), რაც წარმოადგენს ქალაქში ინვესტორების დაინტერესებისა და ახალი ინვესტიციების განხორციელების წინაპირობას. ამის საუკეთესო მაგალითია ქალაქ რუსთავში კოსტავას გამზირისა და რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება.

ქალაქ რუსთვავის მუნიციპალიტეტმაბიზნესის გარემოს გაუმჯობესებისა და სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით 2014 წლიდან დღემდე განახორციელდა 104 უძრავი ქონების გასხვისება სხვადასხვა ვალდებულებით (ძირითად კომერციული დანიშნული ობიექტის განთავსების მიზნით) ამათგან აღსანიშნავია, რამოდენიმე ობიექტის გასხვისების მნიშვნელობა ქალაქისათვის:

ა) 2016 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება- ერთიერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; მდებარე: ქ. რუსთავი, შარტავას გამზირისმ/ტ; საკადასტრო კოდი: 02.03.04.187 ფართობი: 3000კვ.მ. - აუქციონის გზით შეიძინა შპს „რუსთავი 2015"-მა. აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე პირობებით გამოცხადებული აუქციონის შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ვალდებულებები:

- შესყიდულ მიწის ნაკვეთზე განახორციელოს მრავასართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, საკუთრები სმოწმობის გაცემიდან 3 წლის ვადაში;
- შესყიდულ მიწის ნაკვეთზე განახორციელოს არანაკლებ 5 მილიონი ლარის ღირებულების ინვესტიცია და აღნიშნული დაადასტუროს აკრედიტებული საექსპერტო დასკვნისწარმოდგენით;
- მშენებლობის პროცესში დაასაქმოს არანაკლებ 50 ადამიანი;

ბ) 2016 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - ერთი ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი; მდებარე: ქ. რუსთავი, მე-11 მკ.რ. სანაპიროს ქუჩის მ/ტ; საკადასტრო კოდი: 02.02.05.415 ფართობი: 1373 კვ.მ. - აუქციონის გზით შეიძინა შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტმა". აღნიშნულ ქონებაზე, პირობებით გამოცხადებულ აუქციონის შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულია: „საკუთრების მოწმობის აღებიდან 3 (სამი) წლის ვადაში კულტურულ-საგანმანათლებლო ობიექტის განთავსება". სადაც დღეის მდგომარეობით ფუნქციონირებს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი."

გ) 2017 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - კერძოდ, ერთი ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები: №1, №2, №3; მიწის ფართობით: 8082 კვ.მ. შენობა-ნაგებობები: №1 (ერთსართულიანი) განაშენიანების ფართობით - 3925.21 კვ.მ.; №2 (ერთსართულიანი) განაშენიანების ფართობით - 653.86 კვ.მ.; №3 (სამსართულიანი) განაშენიანების ფართობით - 557.76 კვ.მ. საკადასტრო კოდი: 02.07.04.001 -აუქციონის გზით შეიძინა შპს „მეტალო ინვესტმა." აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, პირობებით გამოცხადებულ აუქციონის შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შემდეგი სახის ვალდებულებები:

- საკუთრების მოწმობის აღებიდან 3 (სამი) წლის ვადაში შესყიდულ უძრავ ქონებაზე განახორციელოს:
- შენობების რეაბილიტაცია;
- 1 000 000 (ერთიმილიონი) ლარის ინვესტიცია და აღნიშნული მყიდველმა დაადასტუროს აკრედიტებული საექსპერტო დასკვნის წარმოდგენით;
- მინიმუმ 30 მოქალაქის დასაქმება.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტმა, ადგილობრივ მაცხოვრებლებში (ახალგაზრდებში) ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის, ქალაქში სპორტისა და ასევე, ინვესტიციების განხორციელების მიზნით, მოახდინა მიწის ნაკვეთების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემა კერძოდ:

- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 ოქტომბრის N119 განკარგულებით მუნიციპალიტეტმა, მიწის ნაკვთი, მდებარე: ქ.რუსთავი, 21-ე მკ.რ-ის მიმდებარე ტერიტორია: ს/კოდით: 02.01.05.801 ფართობით: 80000კვ.მ. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცა - შემდგომში ა(ა)იპ „საქართველოს ფეხბურთის ფედეერაციისათვის" გადაცემის მიზნით;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 15 დეკემბრის N628 განკარგულებით მიწის ნაკვეთი, მდებარე: ქ.რუსთავი, 21-ე მკ.რ. მ/ტ ს/კოდით: 02.01.05.830 ფართობით: 56098კვ.მ. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცა - შემდგომში შპს „სპორტმშენსევისისათვის" გადაცემის მიზნით;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 22 ოქტომბრის N572 განკარგულებით მიწის ნაკვეთი, მდებარე: ქ.რუსთავი, მე-12 მკ.რ. #1 სახლის მ/ტ; ს/კოდით: 02.01.05.830 ფართობით: 56098კვ.მ. სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცა - შემდგომში საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის" გადაცემის მიზნით;
- ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 ოქტომბრის N571 განკარგულებით მიწის ნაკვეთი, მდებარე: ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზირის მ/ტ; ს/კოდით: 02.04.03.545 ფართობით: 1934კვ.მ. და მიწის ნაკვეთი, მდებარე: ქ.რუსთავი, მეგობრობის გამზირის მ/ტ; ს/კოდით: 02.04.03.546 ფართობით: 2183კვ.მ სახელმწიფოს საკუთრებაში გადასცა - შემდგომში „თ და კ რესტორნების" (მაკდონალდსის) განთავსების მიზნით; 2016 წელს ქალაქ რუსთავში გაიხსნა „მაკდონალდსის" რუსთავის ფილიალი, განხორციელებული ინვესტიციის ოდენობამ შეადგინა 4,8 მილინი ლარი, ახალ ობიექტზე დასაქმდა 62 მოქალაქე.

ავტო-მოტო სპორტის დარგში, ინვესტიციების განხორციელების მიზნით 2016 წელს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის წარდგენით საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტის საფუძველზე შემცირდა ქონების გადასახადის განაკვეთი.

ავტოდრომის ადმინისტრაციას დაგეგმილი აქვს ავტო-მოტო სპორტის დარგში ინვესტიციების განხორციელება 10 მილიონი ლარის ოდენობით, რომელიც მოიცავს 3 სახის სპორტული ტრასის: კარტინგის ტრასის, მოტოკროსის ტრასისა და ოფ-როუდის ტრასის (ტრიბუნებით და საჭირო ინფრასტრუქტურით) მოწყობას, ასევე სარბენი ბილიკების, სასტუმროს კომპლექსის, საბავშო ქალაქის და მედპუნქტის აშენებას.

ზემოაღნიშნულთან ერთად გაცნობებთ, რომ ინვესტიციების ხელშეწყობის კუთხით მჭიდრო თანამშრომლობა მიმდინარეობს „მუნიციპალური განვითარებიოს ფონდსა" და ქვემო ქართლში გუბერნატორის ადმინისტრაციასთან, შემდგომში ინვესტორების ინფორმირებისა და საინვესტიციო მიზნით შესაბამისი უძრავი ქონების მოძიების კუთხით.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალტეტს გააჩნია 16 ქალაქთან თანამშრომლობის პრაქტიკა. დამეგობრებულ ქალაქებთან გაფორმებული მემორანდუმები ითვალისწინებს სხვადასხვა მიმართულებებთან ერთად თანამშრომლობას ეკონომიკურ საკითხებში. საერთაშორისო ღონისძიებების ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პოპულარიზაციას უწევენ რუსთავს, როგორც საქართველოს მასშტაბით ინდუსტრიულ ცენტრს და ინვესტიციების მოზიდვის კუთხით ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის შესახებ ავრცელებენ ინფორმაციას.

2016 წლის ,,რუსთავქალაქობის" ღონისძიების ფარგლებში რუსთავის მერია მასპინძლობდა 8 დამეგობრებული ქალაქის ოფიციალურ დელეგაციას. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ, როგორც სხვადასხვა დამეგობრებული ქალაქის ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში რუსთავის მერიის ორგანიზებით ჩატარდა ეკონომიკური ფორუმი, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი ქალაქის ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. ქალაქ რუსთავის მერიამ ღონისძიების ფარგლებში გამართა პრეზენტაცია თემაზე - ,,ქალაქ რუსთავის საინვესტიციო გარემო". რუსთავის ეკონომიკური ფორუმი ფარგლებში, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და ქალაქ პანევეჟისის წარმომადგენლებს შორის, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ფორუმის ფარგლებში მოხდა გასვლითი ტური სოციალურ საწარმო ,,რუსთავის საერთაშორისო სკაუტურ ცენტრში", როგორც რუსთავში არსებული უცხოური ინვესტიცია, ასევე ფორუმის მონაწილეები ეწვივნენ სახელმწიფო პროგრამის - ,,აწარმოე საქართველოში''-ს ფარგლებში გახსნილ საწარმოს ,,ეი ჯი ტელეკომს". მოგვიანებით სტუმრებმა მოინახულეს რუსთავის იუსტიციის სახლი, სადაც მიიღეს ინფორმაცია ბიზნესის დარეგისტრირების გამარტივებულ პროცედურებთან დაკავშირებით. ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში რუსთავის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ ხელი შეუწყო ქართული ბიზნესის წარმომადგენლების დაკავშირებას უცხო ქვეყნის დელეგაციასთან, როგორც ჩვენთვის ცნობილია, მათ შორის დღემდე გრძელდება საქმიანი ურთიერთობა.

პატივისცემით,

ნინო ნიკოლავა

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
მერიის ადმინისტრაციის უფროსი